ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №274

23 აპრილი 2019 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავში, უსახელო მოედნებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისს N239 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის 27 მარტის N01/1393 (შემოსული დოკ: N3188/02; 27.03.2019) წერილის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქალაქ რუსთავში, უსახელო მოედნებს მიენიჭოს შემდეგი სახელები:

ა) ქალაქ რუსთავის შემოსასვლელში მდებარე უსახელო მოედანს მიენიჭოს **ბაგრატიონთა** სამეფო დინასტიის წარმომადგენლის - **თამარ მეფის** სახელი, თანდართული რუკის თანახმად;

ბ) ქალაქ რუსთავის, **ჟიული შარტავს** ბიუსტის წინ მდებარე უსახელო მოედანს მიენიჭოს ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის - **ჟიული შარტავას** სახელი, თანდართული რუკის თანახმად;

გ) ქალაქ რუსთავის **ხალხთა მეგობრობის გამზირის** და **ვლადიმერ მესხიშვილის/ნიკო ლომოურის** ქუჩის კვეთაზე არსებულ უსახელო მოედანს მიენიჭოს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, საქვეყნოდ ცნობილი პოემის „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის - **შოთა რუსთაველის** სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება ინფორმაციისთვის გადაეგზავნოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან–ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე